ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N54

ქ.თბილისი

15 აპრილი, 2025 წელი
15^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
მარიამ გელაშვილი
ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ანა კილაძე
ზვიად კუპრავა
კახაბერ ლაბუჩიძე
ნათია მოდებაძე
შალვა ოგბაიძე
ვიტალი ონიანი
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
რევაზ სოხაძე
თამარ ჩახვაშვილი
ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსი ნიკოლოზ ჭონქაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის უფროსი გოგი ჩიქოვანი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ნინო ბაგაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი სერგო ბირკაძე;

შპს „ჰერმესის“ წარმომადგენელი დავით ლინჩიკი.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

ნიკოლოზ კახეთელიძემ განაცხადა, რომ პოლიტიკური ოპონენტები, ძალიან ხშირად, მეტროსადგური ვარკეთილის რეაბილიტაციის პროცესის გაჭიანურებას იყენებენ ისე, თითქოს თბილისის მერიამ ვერ შეძლო მისი შეკეთება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სადგურის პროექტირების და მშენებლობის ეტაპზე დაშვებულმა შეცდომებმა წლების შემდეგ გამოიწვია დღეს არსებული მდგომარეობა. აქვე აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლების დროს, გაუქმებული იქნა შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტები და იქიდან გამომდინარე, რომ ამ დარგში მომუშავე ადამიანებს არ აქვთ საკმარისი კვალიფიკაცია, თბილისის მერიამ დასახა შესაბამისი ღონისძიებები, კერძოდ, საერთაშორისო ტენდერის ჩატარების შემდეგ მოწვეული იქნება გამოცდილების მქონე კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს ხსენებული მეტროსადგურის შეკეთებას.

ზვიად კუპრავამ განაცხადა, რომ დღეს, საქართველოში, ერთადერთი არჩევითი ლეგიტიმური ორგანო არის საკრებულო, რადგან საქართველოს პარლამენტს და პრეზიდენტს არ აღიარებს არც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი და არც საერთაშორისო საზოგადოება. აღნიშნა, რომ ევროსაბჭოს თვითმმართველობის კონგრესმა, 2025 წელს ჩასატარებელი არჩევნების უვადოდ გადადების რეკომენდაციით მიმართა საკრებულოებს, რათა საფრთხე არ დაემუქროს ერთადერთი არჩეული ლეგიტიმური ორგანოს ლეგიტიმაციას და მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს: „აპირებთ თუ არა გაითვალისწინოთ ევროსაბჭოს რეკომენდაცია?“

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ მსგავსი რეკომენდაცია ევროსაბჭოს კონგრესის მხრიდან არ ყოფილა და აღნიშნა, რომ ზოგადად, თუ შევეხებით რეკომენდაციებს, არის „აბსურდული“, რადგან აბსოლუტურად არ შეესაბამება დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებულ ვითარებას. თუმცა, აღნიშნული რეკომენდაციებიც კი ცალსახად არ იძლევა თვითმმართველობის არჩევნების გადადების რეკომენდაციას და საუბარია იმაზე, რომ მაღალმა პოლარიზაციამ და ჩვენს ქვეყანაში არსებულმა ფონმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას მომავალ თვითმმართველობის არჩევნებს. გიორგი ტყემალაძემ აქვე აღნიშნა, რომ რომც იყოს მსგავსი რეკომენდაცია, ეს არის „ღიმილის მომგვრელი“, რადგან ჩვენ გვაქვს კონსტიტუცია, გვყავს ლეგიტიმური პარლამენტი, ლეგიტიმური მთავრობა და ლეგიტიმური პრეზიდენტი. საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად, გამოცხადდება არჩევნები, რომელიც გაიმართება ძალიან მაღალი დემოკრატიულობის ხარისხით, მათ შორის, ევროსაბჭოს თვითმმართველობის კონგრესიდან იქნებიან დამკვირვებლები, რომლებიც შემდგომ შეფასებებში ასახავენ არჩევნებზე არსებულ რეალობას.

ოთარ გრიგოლია გამოეხმაურა ზვიად კუპრავას გამოსვლას და განაცხადა, რომ არ არსებობს საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ცალსახად სვამს კითხვის ნიშანს საქართველოს პარლამენტის და პრეზიდენტის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით და ყოველთვის საუბარია იმაზე, რომ განმეორებითი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში მოხდება სიტუაციის დეესკალაცია, რაც, თავის მხრივ, „აბსურდული განცხადებაა“. არჩევნების გადადებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არც ევროსაბჭოს მანდატია არჩევნების გადადების რეკომენდაციის გაცემა და არც საქართველოს კონსტიტუცია იძლევა ამის საშუალებას, რაშიც გვეთანხმებიან ევროსაბჭოს შესაბამისი სამსახურები და კოლეგები და არცერთ რეზოლუციაში თუ სერიოზულ დოკუმენტში ამაზე საუბარიც არ არის. საუბრის ბოლოს, ოთარ გრიგოლიამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოს არ აქვს მანდატი, ვინმეს მოუწოდოს არჩევნების გადადებისკენ, ამასთანავე, არ არსებობს არჩევნების გადადების იურიდიული ან რაიმე სხვა ტიპის საფუძველი და მიმართა ოპოზიციას: „მოგიწოდებთ თქვენც, მიიღოთ არჩევნებში მონაწილეობა და კიდევ ერთხელ ანახოთ საქართველოს მოსახლეობას, რა მხადაჭერა გაქვთ. მე ეჭვი მაქვს, რომ ის რაც გქონდათ, იმის მეოთხედიც აღარ გაქვთ შერჩენილი და სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც თქვენ ცდილობთ დღეს არჩევნებისგან თავის არიდებას და არა ის, რომ თურმე ევროსაბჭო რაღაცას მოგვიწოდებს“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნიკოლოზ ჭონქაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გოგი ჩიქოვანი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გოგი ჩიქოვანი

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: დავით ლინჩიკი

5. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ. N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ. N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

6. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ქერჩის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.531) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

7. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დიმიტრი გულიას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.004.074, ფართობი - 12197 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

8. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

9. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

10. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნიკო კეცხოველის N58-ში არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.560) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

11. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, II მიკრო/რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.07.016.112) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

12. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.01.004.314; N01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის N60 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

13. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სოფელი ლისის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 18 ნოემბრის N01/1711 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

14. „ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, N18-22 (ნაკვეთი N7/33), (ნაკვეთი N7/36), N22დ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.12.007.076; N01.18.12.007.075; N01.18.12.007.126; N01.18.12.007.093) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N137 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

15. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N79-ში; ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N79-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.19.19.003.235; N01.19.19.003.237; N01.19.19.003.236; N01.19.19.003.238; N01.19.19.003.363) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ივლისის N351 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

16. „ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისი; ქალაქი თბილისი, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.13.759; N81.02.13.892; N81.02.13.784; N81.02.13.692; N01.81.02.201.001; N01.81.02.201.002; N81.02.19.584; N81.02.13.760) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

17. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში (საკადასტრო კოდები: N72.16.17.391; N72.16.21.074; N72.16.21.072) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

18. „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა, N36-ში (ნაკვ. 07/029); ქალაქი თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.007.061; N01.10.10.007.080; N01.10.10.007.081) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

19. „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.067) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

20. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცეების შენარჩუნება-გაჯანსაღების მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწა) გაცვლის ფორმით პრივატიზების სპეციალური წესისა და სხვა რიგი ღონისძიებების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

21. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

22. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

24. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალაში, ღოღობერიძის ქუჩის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5044 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.022.037) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ. 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

27. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010.01.021) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

28. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.704) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

29. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

30. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

31. „ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში, რკინიგზის სადგური „ველის“ მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.31.004.098) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

32. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

33. „ქალაქ თბილისში, ელვერ კუპატაძის I გასასვლელი N5-ში არსებული 1468 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.030.012) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

34. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.021) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

35. „ქალაქ თბილისში, ეგრისის II შესახვევი N12-ში (საკადასტრო კოდები: N01.72.14.008.147.01.501 და N01.72.14.008.147.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

36. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.004.01.1116) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

37. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ.N3-3-ში მდებარე N55 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.055); ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ.N3-ში მდებარე N49 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.049) და ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N9გ-ში მდებარე N197 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170.01.01.197) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

38. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ. 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

39. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით დავით ბერულავასთვის (პ/ნ. 01024022429) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

40. „ქ.თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.032) პირდაპირი განკარგვის წესით, მურატ მიგინეიშვილისთვის (პ/ნ. 01024070013) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

41. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა N1-ში, მეორე სართულზე არსებული 469.73 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.061.01.501) 170.56 კვ.მ. ფართის და ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა N1-ში სხვენ სართულზე არსებული 338.09 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.061.01.502) 176.21 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ. 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 21 ნოემბრის N№61.01193255 და 2021 წლის 31 მაისის N№61.01211513 ბრძანებებზე (მათში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) თანდართული პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-ს (ს/კ. 200160636) გათავისუფლების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

42. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2024 წელს შესრულებული სამუშაოს წლიური ანგარიში";

მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე

43. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებელი: ლევან არველაძე

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსმა ნიკოლოზ ჭონქაძემ და განმარტა, რომ სამსახურში დაგეგმილი რეორგანიზაციის შედეგად, წარმოდგენილია რამდენიმე განყოფილების ორ ნაწილად გაყოფა, რაც გამოწვეულია იმით, რომ სამსახურს დაემატა „თბილსერვის ჯგუფის" ტერიტორიების დაცვა, რაც შეუძლებელია დღეს არსებული ადამიანური რესურსით და მენეჯმენტით. ამასთანავე, წარმოდგენილია მონიტორინგის სამსახურის გაყოფა, რაც გამოწვეულია იმით, რომ განყოფილების შექმნის შემდგომ, საგრძნობლად გაიზარდა სათვალთვალო კამერების რაოდენობა და აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბდება კონტროლის და მონიტორინგის განყოფილება, სადაც კონტროლს დაექვემდებარებიან ის თანამშრომლები, რომლებიც რეაგირებას განახორციელებენ შიდა სამსახურებრივ გადაცდომებზე, ხოლო მონიტორინგის განყოფილებაში მოხდება ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მონიტორინგი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა და განმარტა, რომ ბოლო წლებში, მუნიციპალური ინსპექციის სამსახურს დაემატა მთელი რიგი ფუნქციები და ვალდებულებები, როგორც სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის ნაწილში, ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მონიტორინგის კუთხით და შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული ფუნქციების ასახვა დებულებაში. ამასთანავე, გაზრდილი ოპერატიულობისა და ვალდებულებების გათვალისწინებით, იმისთვის, რომ მივიღოთ ოპტიმალური სტრუქტურა, წარმოდგენილია ცვლილებები, კერძოდ: სამშენებლო ექსპლუატაციის და კონტროლის განყოფილება გაიყოფა და ჩამოყალიბდება ორ განყოფილებად, რაც გამოწვეულია ობიექტების ექსპლუატაციაზე გაზრდილი მომართვიანობით და იმით, რომ სამსახურს კანონმდებლობით დაევალა მშენებლობის ყველა ეტაპის კონტროლი; სამართლებრივი აქტების განყოფილებაში ცალკე გამოიყოფა აღსრულების და სასამართლოსთან ურთიერთობის ნაწილი, რაც მნიშვნელოვანია პროცესის ეფექტურად მართვისთვის და შემდგომში აღსრულების უზრუნველყოფისთვის; აკუსტიკური ხმაურის განყოფილება ჩამოყალიბდება როგორც ოპერატიული რეაგირების და აკუსტიკური ხმაურის განყოფილება, რომელიც ღამის საათებში, მორიგე ჯგუფების მეშვეობით, გარდა აკუსტიკური ხმაურისა, ყველა დარღვევაზე მოადხენს რეაგირებას; კადრების კუთხით, სპეციალური ტექნიკური განათლების მქონე კადრების (არქიტექტორები, ინჟინერ-მშენებლები და კონსტრუქტორები) შენარჩუნების და ახალი კადრების მოზიდვის მიზნით, ხდება არსებული ვაკანსიების ოპტიმიზაცია და ჩამოყალიბდება ახალი, შედარებით მაღალანაზღაურებადი ვაკანსიები, რის შედეგადაც არ გაიზრდება სამსახურის საშტატო ერთეულის რაოდენობა. საუბრის ბოლოს, გოგი ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად მივიღებთ უფრო ოპტიმალურ სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს დედაქალაქში ურბანული წესრიგის ეფექტიან მართვას და როგორც მოქალაქეების, ასევე, კერძო სექტორის კუთხით არსებული სერვისების გაუმჯობესებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის N20-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა შპს „ჰერმესის“ წარმომადგენელმა დავით ლინჩიკმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება, რომ სასაფლაოების უკვე განაშენიანებულ ტერიტორიაზე შემოიღოს ისეთი წესი, რომლის მიხედვითაც მოხდება სტრუქტურულ-ტერიტორიული ზონირება და სასაფლაოები გაიცემა ზონირების წესით. ამასთანავე, წარმოდგენილია გამონაკლისი, რომლის თანახმადაც ზონირების წესი ანუ ფასიანი საფლავების გაცემის წესი არ გავრცელდება საგვარეულო სამარხის მიმდებარედ არსებული საფლავების გაცემისას, ოჯახის წევრების და ნათესავების დაკმალვის შემთხვევაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ. N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ. N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული პირებისთვის კომპენსაციის გაცემას, კერძოდ, „ათორის“ ერთ-ერთ დაზარალებულ პირს მიეცემა 100000 აშშ დოლარი. აქვე აღნიშნა, რომ ხსენებულ პირს უკვე აუნაზღაურდა გარკვეული ზიანი, რის შემდეგაც პროკურატურამ დააზუსტა ზიანის ოდენობა, რომელიც არის 100000 აშშ დოლარი და ამ თანხის მიღების შემდეგ, მას არანაირი პრეტენზია აღარ ექნება არც კომპანიის და არც მუნიციპალიტეტის მიმართ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ქერჩის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.531) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, ქერჩის ქ.N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 3.1-დან 3.8-მდე გადამეტების, რაც გულისხმობს ორ ბლოკზე 3-3 სართულის დამატებას და სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის დაახლოებით 2300000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დიმიტრი გულიას ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.004.074, ფართობი - 12197 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, დიმიტრი გულიას ქ.N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 5.0-დან 5.6-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ორ ბლოკზე 1 და 5 სართულის დამატებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში გადაიხდის დაახლოებით 3000000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებებით წარმოდგენილია დადგენილების 16^1 მუხლიდან მე-9 ქვეპუნქტის ამოღება, რომელიც გულისხმობს იმას, რომ განსაზღვრული მაკომპენსირებელი ღონისძიება არ ვრცელდებოდეს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში არსებულ მიწის ნაკვეთებზე და 21-ე მუხლისთვის 3^2 ქვეპუნქტის დამატება, რომლის თანახმად, ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის გადამეტება დასაშვები იქნება მხოლოდ მიწის ნაკვეთზე ნორმატიულად დადგენილი კოეფიციენტის არაუმეტეს ორმაგ ოდენობამდე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ფუნქციური ზონის

სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-032508572-03 თარიღი: 26.03.2025, N12-03250931-03 თარიღი: 03.04.2025, N12-032509319-03 თარიღი: 03.04.2025 და N12-0325010025-03 თარიღი: 10.04.2025, რომლებზეც, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნიკო კეცხოველის N58-ში არსებული, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.005.560) განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის გრგ-სგან გათავისუფლება, კერძოდ, ხსენებული მიწის ნაკვეთი განვითარდება გრგ-ს გარეშე, გაპ-ით და არქიტექტურული პროექტის საფუძველზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, II მიკრო/რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.07.016.112) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 12317 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება ორი შენობა-ნაგებობა, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 14 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.01.004.314; N01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი

საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის N60 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 25416 კვ.მ., რომელსაც კორექტირებით ემატება 5528 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ტერიტორიაზე, საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით, განთავსდება ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 5 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონი, სოფელი ლისის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 18 ნოემბრის N01/1711 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ კორექტირება ეხება ერთ მიწის ნაკვეთს, რომელზეც დამტკიცებულია სპორტული კომპლექსის განაშენიანება, კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილებით, მიწის ნაკვეთის ფუნქციის უცვლელად, სარეკრეაციო ზონა 2-ის ნაცვლად, ტერიტორია განვითარდება სპეციალური ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, N18-22 (ნაკვეთი N7/33), (ნაკვეთი N7/36), N22დ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.12.007.076; N01.18.12.007.075; N01.18.12.007.126; N01.18.12.007.093) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N137 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 10526 კვ.მ., სადაც დამტკიცებულია გრგ საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით. კორექტირება მოიცავს შენობების განთავსების და სართულიანობის ცვლილებას, კერძოდ, 12 სართულიანის ნაცვლად, განთავსდება 6 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N79-ში; ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N79-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.19.19.003.235; N01.19.19.003.237; N01.19.19.003.236; N01.19.19.003.238; N01.19.19.003.363) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ივლისის N351 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 11208 კვ.მ., სადაც დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გრგ, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით. კორექტირება გულისხმობს შენობების განთავსების ცვლილებას და 8-10 სართულიანის ნაცვლად, განთავსდება ორი, 12 სართულიანი შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისში, სოფელი წავკისი; ქალაქი თბილისი, ტაბახმელა, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.13.759; N81.02.13.892; N81.02.13.784; N81.02.13.692; N01.81.02.201.001; N01.81.02.201.002; N81.02.19.584; N81.02.13.760) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორია ვითარდება სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით, სადაც განთავსდება ოცდასამი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისში (საკადასტრო კოდები: N72.16.17.391; N72.16.21.074; N72.16.21.072) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 26710 კვ.მ., სადაც, სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით, განთავსდება რვა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა, N36-ში (ნაკვ. 07/029); ქალაქი თბილისი, სარაჯიშვილის ქუჩა N36-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.10.007.061; N01.10.10.007.080; N01.10.10.007.081) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 16871 კვ.მ., რომელზეც ვრცელდება სპეციალური ზონა 1 და სარეკრეაციო ზონა 2. ხსენებული მიწის ნაკვეთი გადაეცათ „ათორის" დაზარალებულებს, კ2 კოეფიციენტი განისაზღვრა 4.2-ით და აქედან გამომდინარე, დაგეგმილია ტერიტორიის განვითარება საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, სადაც განთავსდება ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელთა სართულიანობა განსაზღვრულია 22 და 23 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის გამზირი N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.04.026.067) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია დაახლოებით 5 ჰექტარი, რომელზეც ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 და სარეკრეაციო ზონა 1. ტერიტორიის განვითარება იგეგმება საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, ფაქტობრივ გამწვანებაზე გავრცელდება შიდაკვარტალური გამწვანებული ფენა და განთავსდება შვიდი შენობა-ნაგებობა, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 25 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცეების შენარჩუნება-გაჯანსაღების მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის (მიწა) გაცვლის ფორმით პრივატიზების სპეციალური წესისა და სხვა რიგი ღონისძიებების დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ შემოთავაზებულია გარკვეული არეალები, სადაც ხდება კერძო საკუთრებაში არსებული მიწების მონაცვლეობა ამავე არეალში

არსებულ ტერიტორიაზე, რაც გამოწვეულია იმით, რომ კონკრეტული არეალები, დღეს არსებული გენ.გეგმის მიხედვით, არის არასამშენებლო ტერიტორიები, რადგან მათზე ვრცელდება ძირითადად სატყეო ზონები, თუმცა, ამ არეალებში, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, წინა გენ.გეგმით, იყო სამშენებლოდ განვითარებადი ზონები. იქიდან გამომდინარე, რომ არ მოხდეს კერძო მესაკუთრეების ინტერესების შელახვა, იმ შემთხვევაში, თუ მათ წინა გენ.გეგმით ან გენ.გეგმამდე არსებული დოკუმენტაციით ექნებათ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობის განთავსების უფლების დამდგენი დოკუმენტი, უფლება ექნებათ, რომ მუნიციპალიტეტმა მოუნაცვლოს იგივე ფართის ტერიტორია ამავე არეალში, რითიც მუნიციპალიტეტს მიეცემა შესაძლებლობა, რომ რეკრეაციული სივრცეების შენარჩუნებისთვის გამოათავისუფლოს გარკვეული ტერიტორიები. აქვე აღნიშნა, რომ პროექტთან დაკავშირებით, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას ჰქონდა გარკვეული შენიშვნები, რომლებიც ასახულია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ტექნიკური ხასიათის ცვლილებას, კერძოდ, წარმოდგენილია ძალადაკარგულად გამოცხადებული დადგენილების ამოღება წესიდან და პირდაპირ კანონის მითითება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს რედაქციული ხასიათის ცვლილებას, კერძოდ, წარმოდგენილია ძალადაკარგულად გამოცხადებული ნორმატიული აქტის ამოღება წესიდან და მის ნაცვლად კანონის მითითება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ქონების აუქციონის წესით განმკარგავი არის ქონების მართვის სააგენტო. ცვლილებებით წარმოდგენილია სააგენტოს ფუნქციის დაზუსტება, კერძოდ, მითითებული არ იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ახლა ხდება დამატება, რომ მათი ქონების აუქციონის წესით განკარგვას განახორციელებს ქონების მართვის სააგენტო.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალაში, ღოღობერიძის ქუჩის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5044 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.022.037) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუხიანში, კერძო საკუთრებაში არსებული და ფონიჭალაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა, რაც გამოწვეულია გამგეობის და მოსახლეობის თხოვნით, რომ მუხიანში არსებულ ტერიტორიაზე მოეწყოს სკვერი. აქვე აღნიშნა, რომ უძრავ ქონებებს შორის ფასთა სხვაობა შეადგენს 277000 ლარს, რასაც კერძო მესაკუთრე გადაიხდის ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ. 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ გმირთა მოედნის რეაბილიტაციის გამო, ამ ტერიტორიაზე განხორციელდა მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა ბენზინგასამართი სადგურების მიმართ, მათ შორის, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიმართაც. მონაცვლეობის დროს, ფასთა შორის სხვაობა იყო დაახლოებით 180000 ლარამდე, რომლის სანაცვლოდაც კომპანიას, განსაზღვრულ ვადაში, უნდა გადასცემოდა შესაბამისი მიწის ნაკვეთი, თუმცა, ამ ვადაში ვერ მოიძებნა მისთვის მისაღები ფართი და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელება 6 თვით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ შპს „კორტებს“ და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიის ვალდებულებაა კორტების მშენებლობა დაასრულოს 2025 წლის პირველ ივლისს. დღეის მდგომარეობით, სამშენებლო პროცესი აქტიურ ფაზაშია, თუმცა, გზის საფარის ჩამოშლის შედეგად მშენებლობა შეჩერებული იყო 7 თვის განმავლობაში, ამასთანავე, ხაზობრივი ნაგებობის გადასატანად კომპანიას დასჭირდა 2 თვე და აქედან გამომდინარე, ითხოვს მშენებლობის დასრულების ვადის გახანგრძლივებას 9 თვით. მოლაპარაკებების შედეგად, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ 2026 წლის პირველი ივლისისთვის ობიექტი მიღებული უნდა იქნას ექსპლუატაციაში და ამასთანავე, კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ სექტემბრის მდგომარეობით სამშენებლო პროცესი, ვიზუალური თვალსაზრისით, მიყვანილი იქნება არანაკლებ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ მდგომარეობამდე. მისი თქმით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ კომპანიას შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, განეხორციელებინა არანაკლებ 5000000 ლარის ინვესტიცია, კერძოდ, დახარჯული და დადასტურებული აქვს 7000000 ლარზე მეტი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

27. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუსი N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010.01.021) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 13 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 1986 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

28. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.704) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 40 კვ.მ.

ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

29. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ პროექტი წარმოდგენილია N620 კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული შვიდი პირისთვის ქონების გადაცემა, მათ წინაშე არსებული სახელმწიფო ვალის დათმობის სანაცვლოდ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

30. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მოძრავი ქონების, კერძოდ 35 ტონა შავი ლითონის გადაცემა საპატრიარქოსთვის სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

31. „ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში, რკინიგზის სადგური „ველის“ მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.31.004.098) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთის გადაცემა საპატრიარქოსთვის სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

32. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 25200 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის მოძრავი ქონების გადაცემა საპატრიარქოსთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

33. „ქალაქ თბილისში, ელვერ კუპატაძის I გასასვლელი N5-ში არსებული 1468 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.030.012) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 1468 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა საპატრიარქოსთვის, ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

34. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.021) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 85 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 2005 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

35. „ქალაქ თბილისში, ეგრისის II შესახვევი N12-ში (საკადასტრო კოდები: N01.72.14.008.147.01.501 და N01.72.14.008.147.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 63 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 1978 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

36. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.004.01.1116) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 40 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 2004 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

37. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ ნინუას ქ.N3-3-ში მდებარე N55 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.12.12.001.414.01.01.055); ქალაქ თბილისში, ზურაბ პატარიძის ქ.N3-ში მდებარე N49 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.07.024.079.01.01.049) და ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N9გ-ში მდებარე N197 ბინის (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.170.01.01.197) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ პროექტი ითვალისწინებს ყიფშიძის ქ.N5ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დაუმთავრებელი მშენებლობის მესაკუთრეებისთვის ქონების გადაცემას, მათ მიერ საკუთრებაში არსებული ქონების დათმობის სანაცვლოდ. კერძოდ, წარმოდგენილია ერთი ოჯახისთვის 105 კვ.მ. ფართის სანაცვლოდ, სამი სხვადასხვა ფართის გადაცემა. აქვე აღნიშნა, რომ ქონებებს შორის ფასთა სხვაობა შეადგენს 4768 ლარს დაზარალებულების სასარგებლოდ, თუმცა, შეთანხმების თანახმად, მუნიციპალიტეტი არ იხდის ხსენებულ თანხას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

38. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ. 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ „მზიურის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტადიონი, ფეხბურთის მოედნის მოვლა-პატრონობის მიზნით, გადაცემული ჰქონდა ა(ა)იპ „7X7 ფეხბურთის ასოციაციას“. ამ ეტაპზე წარმოდგენილია ვადის გაგრძელება 10 წლით, გარკვეული ვალდებულებების სანაცვლოდ, კერძოდ: კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ ამ დროის განმავლობაში ტერიტორიას შეუნარჩუნდება სპორტული მიმართულების პროფილი; ჩემპიონატების ჩატარებისას მუნიციპალიტეტისთვის მომსახურება იქნება უფასო; განახლდება ტრიბუნები; განხორციელდება გამოსაცვლელი ოთახების რეკონსტრუქცია; განახლდება მინდვრის საფარი და დაზიანებისთანავე განახლდება გარშემო არსებული მავთულის ბადეები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

39. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით დავით ბერულავასთვის (პ/ნ. 01024022429) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 3 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1200 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

40. „ქ.თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.032) პირდაპირი განკარგვის წესით, მურატ მიგინეიშვილისთვის (პ/ნ. 01024070013) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა, კიბის ფუნქციონირების მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 288 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

41. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა N1-ში, მეორე სართულზე არსებული 469.73 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.061.01.501) 170.56 კვ.მ. ფართის და ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, მე-IV მიკრო/რაიონში, შენობა-ნაგებობა N1-ში სხვენ სართულზე არსებული 338.09 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.061.01.502) 176.21 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ. 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 21 ნოემბრის N№61.01193255 და 2021 წლის 31 მაისის N№61.01211513 ბრძანებებზე (მათში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით) თანდართული პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-ს (ს/კ. 200160636) გათავისუფლების შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში არსებულ შენობა-ნაგებობებში მდებარე ორი ფართი დაკავებული აქვს ა(ა)იპ „იას", რომელიც ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მომსახურებას. ა(ა)იპ-ს შესასრულებელი ჰქონდა გარკვეული ვალდებულებები ინვესტიციის სახით, თუმცა, დაუფიქსირდა გადაცდომები, რადგან ხელშეკრულებით განსაზღვრული 15000 ევროს და 20000 ლარის ნაცვლად, დახარჯული აქვს მხოლოდ 13000 ევრო, რის გამოც დაკისრებული აქვს პირგასამტეხლო. იქიდან გამომდინარე, რომ ა(ა)იპ „ია" ხსენებულ მისამართზეა 2016 წლიდან, საინვესტიციო ვალდებულების მიღმა დახარჯული აქვს 50000 ლარი და იმ სოციალური ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მისი მომსახურება მიზანშეწონილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, წარმოდგენილია ვადის გაგრძელება და უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემა გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებებით, კერძოდ, კომპანიას განესაზღვრება იმ ოდენობის თანხის დახარჯვა, რაც არ დაუხარჯავს თავდაპირველად განსაზღვრული თანხიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

42. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2024 წელს შესრულებული სამუშაოს წლიური ანგარიში" საკითხი სხდომაზე წარადგინა წარადგინა საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძემ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2024 წელს შესრულებული სამუშაოს წლიური ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

43. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძემ და აღნიშნა, რომ შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1877000000 ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 1989000000 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 105%-ს შეადგენს. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტების შესრულებაზე და აღნიშნა, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა შესრულებულია 94%-ით, ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა - 89%-ით, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება - 92%-ით, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა - 79%-ით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 99%-ით, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 99%-ით, განათლება - 92%-ით, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა - 78%-ით, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 90%-ით, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 90%-ით. საუბრის ბოლოს აღნიშნა, რომ ზემოთ ხსენებული ციფრები ბიუჯეტის შესრულების საკმაოდ კარგი მაჩვენებელია და მადლობა გადაუხადა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 10 დადგენილება და 32 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — გიორგი ახვლედიანი